განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ახალ ლოკაციაზე პროგრამის განხორციელების მონიტორინგისთვის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

ფინანსები - საფინანსო საქმე და დაზღვევა ტრანსპორტზე

საფეხური
ბაკალავრიატი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

შეფასების თარიღ(ებ)ი 22 მარტი 2022 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი 7 ივნისი 2022 წელი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245427337
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფინანსები - საფინანსო საქმე და დაზღვევა ტრანსპორტზე Finance - Finance and Insurance on Transport
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი VI
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი Bachelor of Business Administration
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	02 (120/ნ)
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრდიტირებული #64 26.07.2016

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა გეგეშიძე, საქართველოს უნივერსიტეტი

[1] ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რუსუდან სეთურიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროგრამა აკრედიტებულია 2016 წლის 26 ივლისის, #64 ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით. პროგრამამ განიცადა ცვლილებები 2021 წელის 19 აგვისტოს ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი №13-ით.

ფინანსები - საფინანსო საქმე და დაზღვევა ტრანსპორტზე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, წელიწადში 60 ECTS კრედიტს, შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 4 აკადემიურ წელს. ყოველ სასწავლო წელს სტუდენტს ეძლევა საშუალება აითვისოს 60 კრედიტი (30 კრედიტი თითოეულ სემესტრში). ყოველი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 20 კვირას, საიდანაც 15 კვირა ეთმობა მეცადინეობების ჩატარებას, ხოლო 4 კვირა – სტუდენტთა საგამოცდო სესიის მიმდინარეობას.

საგანმანათლებლო პროგრამაში კრედიტები განაწილებულია საგანმანათლებლო პროგრამის სხვადასხვა სახის კომპონენტს შორის (როგორიცაა სავალდებულო, არჩევითი და თავისუფალი სასწავლო კურსები და პროფესიული პრაქტიკა). თითოეულ კომპონენტში სწავლების მეთოდი განპირობებულია სწავლის შედეგის შინაარსით. საგნის სწავლებისას მეტწილად გამოიყენება სწავლების რამდენიმე მეთოდი.

საგანმანათლებლო პროგრამა „ფინანსები - საფინანსო საქმე და დაზღვევა ტრანსპორტზე“ - აგებულია სხვადასხვა ტიპის (დარგის) სასწავლო კურსებისაგან, რომლის ეტაპობრივი ათვისება განავითარებს კვლევისა და პროფესიული საქმიანობის (ბიზნესის) მართვის უნარებს. კრედიტების გარკვეული რაოდენობა დათმობილია არჩევით და თავისუფალ სასწავლო კურსებზე. საგანმანათლებლო პროგრამაში შეიძლება გამოიყოს შემდეგი ტიპის სასწავლო კურსები:

➢ ზუსტი და საბუნებისმეტყველო;

➢ ჰუმანიტარული და სოციალურ-ეკონომიკური;

➢ დარგის პროფესიული.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ფინანსები - საფინანსო საქმე და დაზღვევა ტრანსპორტზე“ - აგებულება შემდგანაირია:

1. I-II სემესტრი ეთმობა სტუდენტთა სწავლებას საბაზისო და სპეციალობის საბაზო განათლების სასწავლო კურსებს: დემოკრატია და მოქალაქეობა - 3 ECTS და აკადემიური წერა - 2 ECTS; მათემატიკა ეკონომიკისა ბიზნესისთვის BMF (I-II); თავისუფალი არჩევითი კომპონენტები: Pre-Intermediate ინგლისური BMF-1, Intermediate ინგ. BMF-I (პირველ სემესტრში 5 ECTS); ძირითადი (ანუ სავალდებულოდ) არჩევითი სასწავლო კურსები: Pre-Intermediate ინგლისური BMF-II, Intermediate ინგლისური BMF-II (მეორე სემესტრში 5 ECTS). საოფისე კომპიუტერული პროგრამები; ბიზნესის გარემო; მსოფლიოსა და საქართველოს ისტორია და კულტურა; ეკონომიკის პრინციპები - I-II; ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა. II სემესტრის არჩევითი კომპონენტები: - ბიზნესის რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები; - საჯარო გამოსვლის-პრეზენტაციების ტექნიკა/უნარები.

2. III-IV სემესტრში ისწავლება საბაზისო სასწავლო კურსი - ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა; ძირითადი (ანუ სავალდებულოდ) არჩევითი: - ბიზნეს ინგლისური ენა BMF1.1 (პირველ სემესტრში 5 ECTS), ბიზნეს ინგლისური ენა BMF1.2 (მეორე სემესტრში 5 ECTS) და სპეციალობის სასწავლო კურსები: საბუღალტრო საქმის საფუძვლები; მაკროეკონომიკა; ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი; მარკეტინგის საფუძვლები; მენეჯმენტის საფუძვლები; მსოფლიოს ეკონომიკური გეოგრაფია; ფასწარმოქმნა; დაზღვევა; ფინანსური აღრიცხვა; მმართველობითი აღრიცხვა; III სემესტრის არჩევითი კომპონენტები: - სოციოლოგია; - მსოფლიოს ეკონომიკური გეოგრაფია; IV სემესტრის არჩევითი კომპონენტები: - სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის;- საფინანსო-საბანკო სტატისტიკა.

3. V-VI სემესტრში შეისწავლება სპეციალობის სასწავლო კურსები: ძირითადი (ანუ სავალდებულოდ) არჩევითი სასწავლო კურსები: - ბიზნეს ინგლისური ენა BMF 2.1, ბიზნეს ინგლისური ენა BMF 2.2 (5-5 ECTS თითოეულ სემესტრში); მმართველობითი აღრიცხვა; ფინანსური მენეჯმენტი; ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები; აუდიტი; ადამიანური რესურსების მენეჯმენტი; დაზღვევა ტრანსპორტზე; საბანკო საქმე; ლოჯისტიკის მენეჯმენტი. V სემესტრის არჩევითი კომპონენტები: - სატრანსპორტო ოპერაციები; - საექსპედიტორო საქმიანობის საფუძვლები; VI სემესტრის არჩევითი კომპონენტები: - ტვირთმცოდნეობა და სერტიფიცირება; - ერთიანი სატრანსპორტო სისტემა.

4. VII სემესტრში სტუდენტი აგრძელებს სპეციალობის სასწავლო კომპონენტების დაუფლებას, რომელიც აუცილებელია პროფესიული ცოდნის შემდგომი განმტკიცებისთვის, კერძოდ: ფინანსური ანალიზი; საგადასახადო საქმე; საჯარო ფინანსები; კორპორაციების ფინანსები; რისკების მენეჯმენტი; VII სემესტრის არჩევითი კომპონენტები: - პროფესიული ფსიქოლოგია BMF; - ფილოსოფია;

5. VIII სემესტრში ისწავლება: სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსი: პროექტების მენეჯმენტი (ქართ.); Project Management (ინგლ.); ინვესტიციების მართვა; საერთაშორისო დაზღვევა; VIII სემესტრის არჩევითი კომპონენტები: - სიცოცხლის უსაფრთხოება და გარემოს დაბინძურების პრევენციები; - კომერციული მუშაობა ტრანსპორტზე - ფრახტი. სტუდენტები გაივლიან პროფესიულ პრაქტიკას F - 10 ECTS ოდენობით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

მიმდინარე მონიტორინგის დასკვნა მომზადებულია პროგრამის ახალ ლოკაციაზე განხორციელების მიზნით. აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფი შეიკრიბა თავდაპირველად 2022 წლის 6 მარტს. შეხვედრის დროს შემუშავდა უსდ-დან გამოსათხოვი დოკუმენტების ნუსხა, რომელიც გადაიგზავნა ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. დოკუმენტაციის მიღების და შესასწავლის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფი ისევ შეიკრიბა, სადაც აკრედიტაციის ვიზიტისთვის ჩამოყალიბდა ძირითადი კითხვები და პირველადი მიგნებები. აკრედიტაციის მონიტორინგის ვიზიტი გაიმართა 2022 წლის 22 მარტს ონლაინ ფორმატში Zoom.us პროგრამული უზრუნველყოფით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამის ახალ ლოკაციაზე განხორციელება სრულად შეესაბამება მოთხოვნებს.

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია ინსტიტუციამ ინტენსიურად მოახდინოს ფოთის ლოკაციაზე აკადემიური პერსონალის მოზიდვის საკითხებზე მუშაობა, რათა ერთი წლის შემდეგ, ორივე ლოკაციაზე

პროგრამის გამოცხადების პირობებში, არ შეიქმნას პრობლემები პროგრამის აკადემიური პერსონალით უზრუნველყოფის საკითხებში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით „ფინანსები-საფინანსო საქმე და დაზღვევა ტრანსპორტზე“ საბაკალავრო პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსების ფარგლებში იყენებენ პრაქტიკული უნარების განმავითარებელ სწავლება-სწავლის მეთოდებს, როგორიცაა კონკრეტული შემთხვევის ანალიზი, ამოცანების ამოხსნა, პროექტის მომზადება და პრეზენტაცია. გარდა ამისა საბაკალავრო პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია პროფესიული პრაქტიკა, რომელიც განისაზღვრა 10 კრედიტით. პრაქტიკის გავლის მიზნით დაწესებულებას აქვს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები ორგანიზაციებთან. მემორანდუმების უმრავლეს შემთხვევაში გათვალისწინებულია სტუდენტების რაოდენობა, პრაქტიკის ხანგრძლივობა და პრაქტიკის მიზანი. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მეოთხე სემესტრში გაიარონ პრაქტიკა და გაიღრმავონ ცოდნა და უნარები. გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ საწარმოო პრაქტიკის გავლის დეტალები მოცემულია სილაბუსში. აღნიშნული კომპონენტის მიზანია, ბაკალავრების მიერ მიღებული

თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სისტემატიზაცია და განმტკიცება რეალურ საქმიან გარემოში. პრაქტიკის ხანგრძლივობა არის 15 კვირა. ფაკულტეტის და შემსრულებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე სემესტრის განმავლობაში, პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტი კვირაში გაატარებს 2 საათს. პრაქტიკის ჩატარებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პრაქტიკის ხელმძღვანელს. პრაქტიკის ხელმძღვანელი ინფორმაციას აწვდის სტუდენტებს პრაქტიკის ობიექტის და პრაქტიკის გავლის შესახებ. პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტების ოპერატიული მხარდაჭერისა და კონტროლის მიზნით პრაქტიკის ობიექტის მიერ ინიშნება ხელმძღვანელი ობიექტის პერსონალიდან, რომელიც ახორციელებს სტუდენტთა პრაქტიკის ორგანიზებას პრაქტიკის სილაბუსის და გაფორმებული ხელშეკრულების/მემორანდუმის შესაბამისად. პრაქტიკის განმავლობაში სტუდენტმა უნდა აწარმოოს ყოველდღიურად ჩატარებული აქტივობების შესახებ ჩანაწერები (ხელით) პრაქტიკის დღიურში, აღწეროს შესრულებული სამუშაოები და ის სიახლეები, რომლებსაც გაეცნო პრაქტიკის მიმდინარეობისას, ჩაინიშნოს საჭირო მონაცემები, დააფიქსიროს მიღწეული შედეგები. პრაქტიკის დამთავრებისას დღიური და ანგარიში წარედგინება პრაქტიკის ობიექტის მიერ დანიშნულ ხელმძღვანელს, ხოლო მის მიერ ხელმოწერის შემდეგ სტუდენტმა ის უნდა ჩააბაროს პრაქტიკის ხელმძღვანელს; ანგარიშის გასაფორმებლად სტუდენტს პრაქტიკის ბოლოს გამოეყოფა ორი ან სამი დღე. პრაქტიკის დამთავრების შემდეგ სტუდენტი იცავს პრაქტიკის ანგარიშს ხელმძღვანელის წინაშე. გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ სილაბუსში გაწერილია პრაქტიკის შინაარსი 15 კვირის მიხედვით. ამ შინაარსის გათვალისწინებით სტუდენტები აგროვებენ ინფორმაციას და ამაზადებენ ანგარიშს, რომლის პრეზენტაციას აკეთებენ სემესტრის ბოლოს. აკრედიტაციის მონიტორინგის პროცესში უსდ-ს წარმოდგენილი ჰქონდა ახალ ლოკაციასთან მიმართებაში პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები. ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ ფოთის ლოკაციაზე სტუდენტებს ექნებათ მაღალი ხარისხის სერვისებით და პრაქტიკის ობიექტებით უზრუნველყოფა. საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები პერიოდულად მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში. უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, ფაკულტეტზე ტარდება დარგობრივი სემინარები, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ სტუდენტებიც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ფინანსები-საფინანსო საქმე და დაზღვევა ტრანსპორტზე საბაკალავრო პროგრამა; ○ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები; ○ ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
,,ფინანსები-საფინანსო საქმე და დაზღვევა ტრანსპორტზე“ საბაკალავრო პროგრამის დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ პროგრამის ფარგლებში სალექციო ფორმის მეცადინეობების პროცესში ლექტორი ახდენს სალექციო მასალის პრეზენტაციას ვერბალურად, ან კომპიუტერული ტექნიკის დახმარებით. მართავს ჯგუფურ დისკუსია/დებატებს პრობლემური საკითხების ირგვლივ, სტუდენტებს აძლევს დავალებებს დამოუკიდებელი მეცადინეობისათვის, ახდენს გამოკითხვებს განვლილი მასალიდან და სხვ. ლექციის დროს გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; სწავლა/სწავლება კეთებით; დემონსტრირების მეთოდი; შემთხვევის ანალიზის მეთოდი; ევრისტიკული მეთოდი; წიგნზე და ინფორმაციის სხვა წყაროებზე მუშაობის მეთოდი; დისკუსიის/დებატების მეთოდი და სხვ., ხოლო პრაქტიკული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობის დროს გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები: დისკუსიის/დებატების მეთოდი; შემთხვევის ანალიზის მეთოდი; ინდუქციის, დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი; ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია. ზოგიერთი სასწავლო კურსის ფარგლებში მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ასწავლიან პროგრამულ უზრუნველყოფას, მაგალითად, ისწავლება პროგრამული უზრუნველყოფა MS EXCEL ეკონომიკასა და ბიზნესში. ფოთის სასწავლო კორპუსის ვირტუალური დათვალიერებისას და იქ არსებული მატერიალური რესურსების შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ დარწმუნებით

შესაძლებელია ითქვას, რომ პროფესორ მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა პროგრამაში მითითებული სწავლება-სწავლის მეთოდები გამოიყენონ სასწავლო პროცესში. გასაუბრებიდან ირკვევა, რომ სწავლება-სწავლის მეთოდები არის მრავალფეროვანი, რომელსაც იყენებენ აკადემიურ პროცესში. სწავლა-სწავლების მეთოდების კომბინაციის შერჩევისას ითვალისწინებენ, როგორც სასწავლო კურსის სპეციფიკას, ასევე ინდივიდუალურ საჭიროებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ფინანსები-საფინანსო საქმე და დაზღვევა ტრანსპორტზე საბაკალავრო პროგრამა; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის“ ფოთის ლოკაციაზე პროგრამა ამ ეტაპზე ჯერ არ ხორციელდება, სტუდენტების მხრიდან არ იყო მიღებული ინფორმაცია არსებული სტუდენტური სერვისების შესახებ კონკრეტულად ამ ლოკაციაზე. თუმცა, ფინანსები-საფინანსო საქმე და დაზღვევა ტრანსპორტზე საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტებს საშუალება ექნებათ მიიღონ მაღალი ხარისხის მომსახურება. შენობა გარემონტებული და აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, ასევე ადგილზე უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ რაოდენობრივად და ხარისხობრივად სტუდენტების სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად ჩართვას. უსდ-ს სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ინფორმირებულები იყვნენ არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ. სტუდენტი უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე და დასაქმებაზე სათანადო ინფორმაციით. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით ადმინისტრაციულმა და აკადემიურმა პერსონალმა დაადასტურა, რომ სტუდენტები ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისგან იღებენ აუცილებელ კონსულტაციებს.

სტუდნტებისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების (მაგალითად, დაგეგმილი კონფერენციების, შიდა საუნივერსიტეტო და სხვადასხვა ფონდის მიერ დაწესებული/გამოცხადებული სტიპენდიების, გაცვლითი პროგრამების და სხვ.) შესახებ. სტუდენტები ინფორმაციას იღებენ უნივერსიტეტის ვებგვერდიდან, ფაკულტეტის დეკანატიდან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიდან და ა.შ.

გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ სტუდენტთა ცოდნის შეფასების მიზნით ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში ფიქსირდება შეფასების ფორმები და ინსტრუმენტები. სილაბუსებში ასევე, მითითებულია სტუდენტებთან კონსულტაციისთვის განკუთვნილი კონკრეტული დღე და დრო. სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები გათვალისწინებულია პერსონალის დატვირთვაში. ამასთან, კომუნიკაცია შეიძლება განხორციელდეს ელექტრონული ფოსტის ან სოციალური ქსელის დახმარებითაც. სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელი სხვა ინფორმაცია სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მართვის სისტემით გათვალისწინებულ სტუდენტის პირად ვებ-სივრცეში.

ინტერვიუს შედეგების საფუძველზე დასტურდება, რომ უსდ-ს სტუდენტების სერვისის გასაუმჯობესებლად და კმაყოფილების გასაზრდელად ყოველ სემესტრში ატარებს სტუდენტთა გამოკითხვას და შესაბამისად, ცდილობს გაითვალისწინოს მათი რჩევები და რეკომენდაციები.

აღსანიშნავია, რომ უსდ-ში ფუნქციონირებს სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახური, რომლის მიზანია სტუდენტთა კარიერული განვითარების მხარდაჭერა. ასევე ვიზიტის პერიოდში დადგინდა, რომ მაღალია კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი

სტუდენტებს აქვს გამართული ელექტრონული სარეგისტრაციო სისტემები და საბიბლიოთეკო რესურსები. წარმოდგენილი დოკუმენტების, ინტერვიუების საფუძვლეზე და სხვადასხვა ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შესაზლებელია დავასკვნათ, რომ ლოკაციის ცვლილება სტუდნტების სერვისებზე გავლენას არ იქონიებს და ისინი მიიღებენ მაღალი ხარისხის მომსახურებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ფინანსები - საფინანსო საქმე და დაზღვევა“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ფოთის საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის დებულება;
- ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დებულება;
- ელექტრონული სწავლების ინსტრუქცია სტუდენტთათვის;
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია მეზღვაურთა საწვრთნელი ცენტრის მართვის ელექტრონული პროგრამის ინსტრუქცია;
- სასწავლო პროცესის მონიტორინგის ელექტრონული სისტემის წარმოების წესი;
- ინტერვიუს შედეგები;
- ვებ-გვერდი www.bsma.edu.ge

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სსიპ „ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის“ სენატის მიერ 2021 წლის 7 დეკემბერს გამოიცა N17/2 გადაწყვეტილება ფოთის ფილიალში - ფოთის საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრში 2022 წლიდან „ფინანსები - საფინანსო საქმე და დაზღვევა“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ (2022-2023 სასწავლო წლისათვის მისაღებ სტუდენტთა კონტიგენტი განისაზღვრა 15 ადგილით). ინტერვიუდან ირკვევა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბაზაზე ფუნქციონირებს ფოთის სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი (გათვლილია 1000 სტუდენტზე), სადაც ფუნქციონირებს პროფესიული პროგრამები და მოკლევადიანი კურსები. მიღებული ინფორმაციის და დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ ბათუმის ლოკაციაზე 2022-2023 სასწავლო წლისთვის არ გამოცხადდა „ეკონომიკა - ტრანსპორტის ეკონომიკა“ საგანმანათლებლო პროგრამა საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფინანსები - საფინანსო საქმე და დაზღვევა“ მიღება, შესაბამისად დაიგეგმა პირველკურსელებთან მიმართებაში ბიზნესის და მართვის ფაკულტეტის ბათუმიდან აკადემიური და მოწვეული პერსონალის რესურსების გადატანა ფოთის ლოკაციაზე. ინსტიტუციას გააჩნია სატრანსპორტო საშუალებები, მათ შორის 2 ავტობუსი, რითაც მაქსიმალურად ხელი შეეწყობა პერსონალის გადაადგილებას ფოთის მიმართულებით. ამ დროისთვის ტრანსპორტით უზრუნველყოფილია პროფესიულ პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი. წარმოდგენილი პირადი საქმეების შეფასებისა და ინტერვიურების საფუძველზე დასტურდება, რომ „ფინანსები - საფინანსო საქმე და დაზღვევა“ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან ფუნქციონირებასა და მიზნების მიღწევას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ „ფინანსები - საფინანსო საქმე და დაზღვევა“ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 34 ლექტორი. მათგან 26 აკადემიური პერსონალი - 5 პროფესორი, 13 ასოცირებული პროფესორი, 7 ასისტენტ-

პროფესორი და 1 ასისტენტი. პროგრამის სასწავლო პროცესში ჩართული 26 აკადემიური პერსონალიდან 25 აფილირებულია. მოწვეული ლექტორების რაოდენობა შეადგენს 8-ს.

ინსტიტუციას შემუშავებული აქვს დოკუმენტი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების ND 2-004 წესი, რომელიც დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის N1/4, 21.01.2022 გადაწყვეტილებით, რომელიც გამჭვირვალობის და სამართლიანობის პრინციპებზეა დაფუძნებული. ამასთან დაწესებულებას შემუშავებული აქვს მარეგულირებელი წესი „აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი და მეთოდოლოგია“. ინსტიტუციას შემუშავებული აქვს პროგრამის განმახორციელებელი პირების დატვირთვის შედგენის მეთოდოლოგია და პროცედურები, რომლებიც ითვალისწინებს მათ დატვირთვას და ვალდებულებებს.

პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმის შესწავლისა და ინტერვიუს საფუძველზე დგინდება რომ მას გააჩნია პროგრამის განხორციელებასა და განვითარებისათვის შესაბამისი კვალიფიკაცია და დიდი გამოცდილება.

ინტერვიურების საფუძველზე ირკვევა, რომ ფოთის ლოკაციაზე არსებობს აკადემიური მრჩეველი, რომელიც სტუდენტებს ინფორმაციას მიაწვდის და დაეხმარება მათი კურიკულუმის დაგეგმვასა და კურსების არჩევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში, სასწავლო გეგმის შედგენასა და თითოეულ კურსის შინაარსში გარკვევაში. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ლოკაცია უზრუნველყოფილია სტუდენტების მომსახურებისთვის საჭირო რაოდენობისა და კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

დაწესებულების მიერ შემუშავებულია „აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების დატვირთვისა და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესი“, რომელიც ავალდებულებს აკადემიურ პერსონალს აწარმოოს სამეცნიერო საქმიანობა და მის შესახებ ანგარიში. ანგარიშისთვის შემუშავებულია „აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური წლიური დატვირთვის წესი“, სადაც დეტალურადაა აღწერილი აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული პერსონალისა (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი) და ხელშეკრულების საფუძველზე, საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული მასწავლებლების წლიური დატვირთვა.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულია სტუდენტთა კონსულტირებისა და პროგრამის განვითარების პროცესებში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია ინსტიტუციამ ინტენსიურად მოახდინოს ფოთის ლოკაციაზე აკადემიური პერსონალის მოზიდვის საკითხებზე მუშაობა, რათა ერთი წლის შემდეგ, ორივე ლოკაციაზე პროგრამის გამოცხადების პირობებში, არ შეიქმნას პრობლემები პროგრამის აკადემიური პერსონალით უზრუნველყოფასა და მდგრადობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ფინანსები - საფინანსო საქმე და დაზღვევა“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- „ფინანსები - საფინანსო საქმე და დაზღვევა“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების აკადემიური დატვირთვისა და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესი;

- აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების წესი;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და წესი;
- ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა და პროცედურა;
- მოწვეულ მასწავლებელთა შერჩევის და შეფასების წესი;
- აკადემიური პერსონალის წლიური საშტატო დატვირთვის აღრიცხვის ელექტრონული ფორმა;
- ინტერვიუს შედეგები;
- ვებ-გვერდი www.bsma.edu.ge.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ინსტიტუციამ ინტენსიურად მოახდინოს ფოთის ლოკაციაზე აკადემიური პერსონალის მოზიდვის საკითხებზე მუშაობა, რათა ერთი წლის შემდეგ, ორივე ლოკაციაზე პროგრამის გამოცხადების პირობებში, არ შეიქმნას პრობლემები პროგრამის აკადემიური პერსონალით უზრუნველყოფის საკითხებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის“ საგანმანათლებლო პროგრამა „ფინანსები - საფინანსო საქმე და დაზღვევა“ ფოთის ლოკაციაზე განხორციელდება თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილ კამპუსში, უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსებით, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ფოთის ლოკაციაზე აღრიცხული 1745 ცალი სხვადახვა ინვენტარის ჩამოათვალი: მაგიდა, მერხი, დაფა, მონიტორი, Wi-Fi, ცეცხლმაქრი და სხვ.

სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ინფორმირებულები იყვნენ არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

ფოთის ფილიალი - ფოთი საზღვაო-საწვრთნელი ცენტრის ბიბლიოთეკა შექმნილია საზღვაო აკადემიის ბიბლიოთეკის ბაზაზე და თანაბარი უფლებებით სარგებლობს ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსებით, სამეცნიერო ელექტრონული ბაზებით, ელექტრონული კატალოგითა და ვებგვერდით. ფოთის ფილიალის ბიბლიოთეკა მოიცავს: სამკითხველო დარბაზს, რომელიც აღჭურვილია 31 მკითხველისათვის განკუთვნილი მაგიდითა და სკამით, ასევე კომპიუტერულ სივრცეს 14 კომპიუტერით, რომელიც მიერთებულია საერთო სარგებლობის ტექნიკასთან და წიგნსაცავს. დარბაზი ასევე აღჭურვილია (WI-FI და სხვა) ქსელებით.

ბიბლიოთეკას გააჩნია როგორც მექანიკური, ისე ელექტრონული კატალოგი, ასევე საძიებო სისტემები. ელექტრონული კატალოგი იძლევა საშუალებას რესურსის ძიება განხორციელდეს დამოუკიდებლად, როგორც ბათუმის ასევე ფოთის ბიბლიოთეკის ბრანჩების მეშვეობით.

ბსსა-ის ბიბლიოთეკა ხელშეკრულების ფორმით გაწევრიანებულია საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული ქსელის კონსორციუმთან, საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომის უზრუნველსაყოფად, მათ შორის:

- Cambridge university press;
- Bioone;
- e-duke journals sholari coiiection;
- Edward elgar publishing journals;
- IMF e library;
- Royal society journals collection.

პროგრამის განსახორციელებლად საჭირო შენობა უზრუნველყოფილია უსაფრთხოების დაცვით (ვენტილაცია, ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობები და სხვ.).

ექსპერტთა მიერ მოხდა მატერიალური ბაზის ონლაინ დათვალიერება, რომლის დროსაც დადასტურდა, რომ დაწესებულებას გამართულ მდგომარეობაში გააჩნია აუდიტორიები, ლაბორატორიები, კომპიუტერული კლასები და სხვ. ყველა აუდიტორია აღჭურვილია სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო თანამედროვე ინვენტარით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი;
- ინტერვიუს შედეგები;
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ლოკაციის ბიბლიოთეკა;
- ონლაინ დათვალიერება;
- ვებ-გვერდი www.bsma.edu.ge.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
„ფინანსები - საფინანსო საქმე და დაზღვევა“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება 2022 წლის პროგრამის ბიუჯეტით. ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები მიმართულია: შრომის ანაზღაურება ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის და აკადემიური და საათობრივად მოწვეული პერსონალის, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მივლინება, კადრების მომზადება-გადამზადების ხარჯი, კომუნალური ხარჯები, სხვა ხარჯები (სტუდენტთა სწავლების დაფინანსების, სტიპენდია, გაცვლითი პროგრამების, პრაქტიკის და სხვა კულტურული სპორტული და საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსების ხარჯი), არაფინანსური აქტივები (მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება-გაუმჯობესება). ვიზიტზე აღინიშნა, რომ პროგრამისთვის საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი დაფინანსების გამოყოფა, როგორც ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ცენტრალური ბიუჯეტიდან, ასევე ფოთის მოკლევადიანი კურსებიდან, ტრენინ-ცენტრიდან, რომელთაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი შემოსავლები. ინტერვიუს დროს

აღინიშნა, რომ ხშირია სტუდენტებისთვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, მერიის და სხვა ორგანიზაციების მხრიდან სხვადასხვა სახის დაფინანსებები. პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. პროგრამის ფოთის ლოკაციაზე განხორციელება არ მოითხოვს მნიშვნელოვნად ხარჯების გაზრდას და იქნება ფინანსურად მდგრადი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ „ფინანსები - საფინანსო საქმე და დაზღვევა“ საბაკალავრო პროგრამა; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი; ○ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიუჯეტი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ „ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას“ აქვს ქმედითი შიდა ხარისხის შეფასების სისტემა და მექანიზმები.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის მთავარი პრინციპებია: გამჭირვალობა, საჯაროობა, ობიექტურობა, სანდოობა, უწყვეტობა და ვალიდურობა. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გამოიყენება საზღვაო აკადემიის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას ხარისხის შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით.
ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მუდმივი გაუმჯობესების მიზნით აკადემიაში დანერგილია საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, როგორც პასუხისმგებელი ხარისხის დარგში პოლიტიკის, მიზნებისა და ამოცანების შესრულებაზე ატარებს შიდა აუდიტებს აკადემიის ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფში და პასუხისმგებელია აუდიტის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამობების მაკორექტირებელ ქმედებათა შესრულებაზე, კონტროლზე და ანგარიშგებითი დოკუმენტაციის მომზადებაზე, ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს საზღვაო აკადემიის საქმიანობის ყველა ძირითად ასპექტს.
უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა ციკლური პროცესია ფუნქციონირებს „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე ციკლის (PDCA) პრინციპით.
ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია საზღვაო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის შემადგენლობაშიც შედის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები, პროფესიული მომზადების ცენტრის, საზღვაო საწვრთნელი და სერტიფიცირების ცენტრის და ფოთის ფილიალი-სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის ხარისხზე პასუხისმგებელი პირები.
ხარისხის კულტურის დამკვიდრებისა და უზრუნველყოფის პროცესში ჩართულია აკადემიის ყველა სტრუქტურული ერთეული და თანამშრომელი შესაბამისი პასუხისმგებლობის ფარგლებში.
ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები სამ ძირითად მიმართულებად იყოფა:

- სწავლა-სწავლება და მომსახურება (საგანმანათლებლო პროგრამები (ბაკალავრიატი, სამაგისტრო, პროფესიული), საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალი და სასწავლო პროცესი);
- კვლევა - კვლევითი საქმიანობის, აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება და ანალიზი;
- მართვის პროცესები - ორგანიზაციის მართვის პროცესების შეფასება.

ადგილზე ინტრევიუების საფუძველზე დადგინდა, რომ უსდ-ში სისტემურად ხდება პროგრამების შეფასება, სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვები სწავლებისა და მომსახურების გაუმჯობესების მიზნით. გამოკითხვის შედგები გამოიყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაში.
წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვიზიტის პერიოდში ჩატარებული ინტერვიუების და რესურსების დათვალიერების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფოთის ლოკაციაზე შიდა ხარისხის მექანიზმები იქნება ეფექტური და ეფექტიანი სწავლება სწავლის პროცესის განხორციელებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფინანსები-საფინანსო საქმე და დაზღვევა ტრანსპორტზე საბაკალავრო პროგრამა;
- ფოთის საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის დებულება;
- ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დებულება;
- ელექტრონული სწავლების ინსტრუქცია სტუდენტთათვის;
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფა;
- სასწავლო პროცესის მონიტორინგის ელექტრონული სისტემის წარმოების წესი;
- ინტერვიუს შედეგები;
- ვებ-გვერდი www.bsma.edu.ge

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური:

ფინანსები-საფინანსო საქმე და დაზღვევა ტრანსპორტზე, ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 22

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	არ ფასდება			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ეკა გეგეშიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

დავით სიხარულიძე

რუსუდან სეთურიძე